

19 დეკემბერი 2018 წელი

ხაშური

გადაუდებელი (15:30 საათზე)

სხდომის თავმჯდომარე- საკრებულოს თავმჯდომარე - მიხეილ ჯანაშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: ზურაბ ნოზაძე, გიორგი ბერაია, ლევან გამრეკელი, ირინე გელაშვილი, დავით გელაშვილი, ელგუჯა გოგალაძე, მიხეილ კაპანაძე, ჯონდო კაპანაძე, ნატო კიკაძე, ელზა კიკაძე, ლაშა ლუსმანაშვილი, გურამ მაზიაშვილი, მაცყალა მაისურაძე, დავით მეტრეველი, იმედა მეტრეველი, ემზარ მურჯიკნელი, ცოტნე ნოზაძე, ალექსანდრე სიმონიშვილი, აკაკი ჩიტაძე, მერაბ ცხოვრებაძე, მამუკა წიქარიშვილი, ანა ხარებავა.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი დავით კიკნაძე; ინფრასტრუქტურული განვითარების და კეთილმოწყობის განყოფილების ხელმძღვანელი გიორგი პაპიაშვილი;

სხდომის თავმჯდომარემ მიხეილ ჯანაშვილმა აღნიშნა, რომ გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე იმართება ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა. მან საკრებულოს რიგით 28-ე სხდომა გახსნილად გამოაცხადა 15:30 საათზე და მიაწოდა ინფორმაცია ქვორუმზე - საკრებულოს 31 წევრიდან რეგისტრაცია გაიარა 22 წევრმა, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. დღის წესრიგის გაცნობამდე საკრებულოს წევრებს მოუწოდა, სხდომის მიმდინარეობისას, რეგლამენტით გათვალისწინებული პროცედურული ნორმებისა და წესრიგის დაცვისაკენ. შემდეგ საკრებულოს წევრებსა და დამსწრე საზოგადოებას გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

#### დღის წესრიგი:

1. “ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რელიგიური ორგანიზაციების დახმარების, რელიგიური მნიშვნელობის შენობა-ნაგებობების მშენებლობისა და რეაბილიტაციის ღონისძიებების მხარდაჭერისა და ხელშეწყობის პროგრამის დამტკიცების შესახებ “ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 17 მაისის N46 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების გაცნობის შემდეგ დღის წესრიგის პროექტს კენჭი უყარა:

მომხრე - 22

წინააღმდეგი - არცერთი

(დანართი თან ერთვის)

#### მოისმინეს:

1. ტერიტორიაზე რელიგიური ორგანიზაციების დახმარების, რელიგიური მნიშვნელობის შენობა-ნაგებობების მშენებლობისა და რეაბილიტაციის ღონისძიებების მხარდაჭერისა და ხელშეწყობის პროგრამის დამტკიცების შესახებ “ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 17 მაისის N46 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი - მიხეილ ჯანაშვილი

თანამომხსენებელი - გიორგი პაპიაშვილი

ინფრასტრუქტურული განვითარების და კეთილმოწყობის განყოფილების ხელმძღვანელის გიორგი პაპიაშვილის ინფორმაციით, ხაშურის მუნიციპალიტეტის

სამოქმედო არეალში მრავალი ისტორიული და რელიგიური კერა არსებობს, რომლებიც შესაბამის დახმარებას და მხარდაჭერას საჭიროებენ ფინანსური კუთხით. წარმოდგენილი პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რელიგიური კერების მშენებლობის, აღდგენა/რეაბილიტაციის ხელშეწყობა და არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით დახმარება.

აზრი გამოთქვას: ვაჟა ხარშილაძემ, ზვიად ტეფნაძემ, მიხეილ ჯანაშვილმა.


ხმათა უმრავლესობით განკარგულება მიღებულ იქნა

(განკარგულება ოქმს თან ერთვის)

(მომხრე 22, წინააღმდეგი 0)

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის გამო სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე



მიხეილ ჯანაშვილი